



N20/1453

07 / დეკემბერი / 2018 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტს

სსიპ - თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტს

სსიპ - ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტს

სსიპ - შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს
უნივერსიტეტს

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ
უნივერსიტეტს

სსიპ - საქართველოს ტექნიკურ
უნივერსიტეტს

შპს - თბილისის თავისუფალ
უნივერსიტეტს

შპს - საქართველოს უნივერსიტეტს

შპს - კავკასიის უნივერსიტეტს

შპს - გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტს

შპს - ქართულ-ამერიკულ
უნივერსიტეტს

შპს - საქართველოს დავით
აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტს

ა(ა)იპ - საქართველოს
საზოგადოებრივ საქმეთა
ინსტიტუტს (GIPA)

გაცნობებთ, რომ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2013 წლიდან, საერთაშორისო კონგრესებისა და კონვენციების ასოციაცია ICCA-ს (International Congress and Convention Association) წევრია. აღნიშნული ასოციაცია 1960-იან წლებში ჩამოყალიბდა და დღეისათვის 90 ქვეყნის, 1000-მდე საკონვენციო ბიუროს, ივენთ კომპანიას, ტურისტულ კომპანიასა და სხვა მსგავს ორგანიზაციას აერთიანებს.

ICCA-სთან თანამშრომლობა ერთ-ერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებაა ქვეყანაში საქმიანი ტურიზმის განვითარების კუთხით და პრიორიტეტულია ქვეყნის რეიტინგების გაუმჯობესება, ორგანიზაციის მიერ წარმოებული ყოველწლიური ანგარიშის (Annual Report) ფარგლებში.

შემოხსენებული რეიტინგის გაუმჯობესებისათვის, ICCA-ში გაწევრიანებული ორგანიზაციები აწვდიან ასოციაციას ყოველწლიურად ინფორმაციას ქვეყანაში წლის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ, რომლებიც საქმიან ტურიზმს უკავშირდება, კერძოდ: საერთაშორისო შეხვედრები, კონფერენციები, კონგრესები, ასოციაციის შეხვედრები და სხვა მსგავსი სახის ღონისძიებები, რომლებიც აკმაყოფილებენ ICCA-ს ბაზაში დასარეგისტრირებლად საჭირო სამივე კრიტერიუმს ერთად:

1) მონაწილეთა რიცხვი აღემატება 50 ადამიანს;

2) ღონისძიება, კონფერენცია, შეხვედრა, ასოციაციის შეხვედრა იმართება რეგულარულად-ყოველწლიურად ან ორ წელიწადში ერთხელ და არის საერთაშორისო ხასიათის;

3) ჩატარებულია მინიმუმ 3 სხვადასხვა ქვეყანაში (საქართველო შეიძლება იყოს მესამე).

აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება და ICCA-სათვის მიწოდება მნიშვნელოვანია მასპინძელი ქვეყნების/ორგანიზაციების გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის წარმოჩენის კუთხით, რაც ახდენს მათ მიმართ, როგორც ინტერესის, ასევე ნდობის გაზრდას.

შემოხსენებულის შესაბამისად, გთხოვთ, 2019 წლის 15 იანვრამდე, მოგვაწოდოთ ინფორმაცია თქვენი ორგანიზაციის მიერ (ან თქვენი ორგანიზაციის ჩართულობით) 2018 წლის განმავლობაში გამართული საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებს შემოხსენებულ სამ კრიტერიუმს.

ICCA-ს ბაზაში დასარეგისტრირებლად საჭიროა თითოეული ღონისძიების შესახებ მოგვაწოდოთ შემდეგი მასალა:

- ღონისძიების ზუსტი დასახელება;
- გამართვის თარიღები და ადგილი (სასტუმროს დასახელება, საგამოფენო ცენტრი და სხვა);
- ღონისძიებაში მონაწილე პირების რაოდენობა;
- შესაძლებლობის შემთხვევაში, ვებ-მისამართის ლინკი ან სხვა ღონისძიების გამართვის დამადასტურებელი ინფორმაცია.

შენიშვნა: თუ რომელიმე შემოხსენებული ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, გთხოვთ, მოგვაწოდოთ არსებული ინფორმაცია.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს უფროსს თორნიკე ზირაქიშვილს (მობ: 597-75-07-07; ელ.ფოსტა: t.zirakishvili@gnta.ge).

პატივისცემით,

ხელმძღვანელი

ხელმოწერა/ 
შტამგდასმულია
ელემენტარულად

გიორგი ჩოგოვაძე